პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

18

ერთვნული ბიბლიოთეკა

კვირა,

1961 წ.

№ 83 (1719)

გამოცემის მე-17 წელი

ფასი 3 კაპ.

ორი რეკორდი

მოსკოვის სამხედრო ოლქის ტყვიით მსროლელთა შეჯიბრებაზე სპორტის ოსტატმა ე. კულპინმა აჩვენა ორი სარეკორდო შედეგი. არმიული შაშხანიდან სტანდარტზე სროლაში „3×20"-ზე მან 600 შესაძლებლიდან მოაგროვა 561 ქულა და 6 ქულით გააუმჯობესა ძველი საკავშირო რეკორდი, რომელიც დამყარებული იყო სამი წლის წინ და ეკუთვნოდა ბ. პერებერინს.

კულპინმა მეორე რეკორდი დაამყარა დგომელა სროლაში, ამ ვარჯიშში მან აჩვენა 186 ქულა (200-დან), რაც ორი ქულით აღემატება მანამდე არსებულ საკავშირო მიღწევას.

დღეს მატჩია!

მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე დღეს შედგება მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და თურქეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ესაა საბჭოთა ფეხბურთელთა პირველი შესარჩევი მატჩი 1962 წლის მსოფლიო პირველობისათვის V ჯგუფში.

თურქეთისა და სსრ კავშირის ნაკრები და საკლუბო გუნდების შეხვედრებს თითქმის 4 ათეული წლის ისტორია აქვს. ეს მატჩები შემდგარა როგორც თურქეთში, ისე ჩვენს ქვეყანაში და მათი უმეტესობა საბჭოთა ფეხბურთელების სასარგებლოდაა დამთავრებული, მაგრამ, როგორც წესი, ბრძოლა ყოველთვის დაძაბული, საინტერესო და პრინციპული იყო. თურქეთის ორი გუნდი — „გალატასარაი" და „გიუნეში" ნანახი ჰყავთ თბილისელ ფეხბურთის მოყვარულებსაც, ამიტომ მათ გარკვეული წარმოდგენა აქვთ ამ ქვეყნის ფეხბურთზე.

თურქეთის ფეხბურთის ასოციაცია 1923 წლიდან ითვლება ფიფა-ს წევრად, მაგრამ თურქი ფეხბურთელები ესოფლიო ჩემპიონატის გათამაშებაში პირველად გამოვიდნენ მხოლოდ 1954 წელს. მაშინ თურქები ერთ ჯგუფში მოხვდნენ ესპანეთის ძლიერ გუნდთან და როცა საერთაშორისო საფეხბურთო წრეებში მათი საქმე განწირულად მიაჩნდათ, თურქებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს. მართალია, პირველი თამაში ესპანელებმა მოიგეს მადრიდში ანგარიშით 4:1, მაგრამ საპასუხო მატჩში, რომელიც სტამბოლში შედგა, მასპინძლებმა უაღრესად მწვავე ბრძოლაში გაიტანეს ერთადერთი ბურთი და ეს საკმარისი აღმოჩნდა რევანშისათვის — 1:0. დაინიშნა მესამე, დამატებითი შეხვედრა რომში, რომელსაც უნდა გამოეკვლინა ფინალისტი. ბევრს ეცადნენ ესპანელები გაეტეხათ თურქების გაფაფრებული წინააღმდეგობა, მაგრამ საამისოდ მათ არც დამატებითი დრო ეყოთ და მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2. სხვა გზა რომ აღარ იყო, გათამაშების დებულების თანახმად ფიფა-ს წარმომადგენელმა კენჭი ჰყარა. საგანგებოდ მოწვეულმა შავთმიანმა იტალიელმა ბიუნამ დახუჭა თვალები, ჩაჰყო ხელი ყუთში, დიდხანს აფათურა და თეთრი კენჭი ამოუღო იღბლიან თურქებს, რომლებიც მისი წყალობით მოხვდნენ ფინალში. თურქეთის გუნდმა მოუგო სამხრეთ კორეის ნაკრებს — 7:0, მაგრამ დამარცხება განიცადა მომავალ ჩემპიონთან გფრ-სთან — 1:4 და გამოითიშა შეჯიბრებიდან.



1958 წლის ჩემპიონატში თურქები არ მონაწილეობდნენ. მათ იწყინეს ის, რომ ფიფა-მ წინასწარი განაწილებისას ისინი აზიის ზონაში მოახვედრეს და დემონსტრაციულად გაიტანეს განაცხადი ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტიდან.

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ანგარიში გაუწია თურქების ამ კაპრიზს და ერთხელ და სამუდამოდ „გააევროპელა" ისინი.

ახლა თურქი ფეხბურთელები ერთ ჯგუფში იმყოფებიან სსრ კავშირისა და ნორვეგიის გუნდებთან. აქ ისინი საღღეისოდ ლიდერები არიან, ვინაიდან უკვე აქვთ შოპოვებული პირველი ორი ქულა ნორვეგიელებთან მატჩში.

ეს მატჩი შედგა ოსლოში 1 ივნისს. იმ ღღეს ნორვეგიის დედაქალაქში ძთელი ღღე გადაუღებლივ წვიმდა, მინდორი უკიდურესად დამძიმდა და თამაში ძალზე ჭირდა. მიუხედავად ამისა, თურქებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩი, უდიდესი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 1:0.

ოსლოდან თურქეთის გუნდი გაემგზავრა არა სახლისაკენ, არამედ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, სადაც გადიოდა მზადებას ქ. ჰანოვერის მახლობლად მდებარე სპორტული სკოლის ბაზაზე ცნობილი გერმანელი სპეციალისტის, გფრ-ს ეროვნული ნაკრების უცვლელი მწვრთნელის ზ. ჰერბერგერის უშუალო კონსულტაციით.

თურქეთის ნაკრები საგანგებოდ ემზადებოდა დღევანდელი მატჩისათვის და საუკეთესო ფორმაშია.

საკავშირო რადიო აწარმოებს მატჩის ტრანსლაციას. პირველი ტაიმის რეპორტაჟი დაიწყება 18 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით, მეორე პროგრამით, ხოლო მეორე ტაიმისა — 19 საათსა და 30 წუთზე პირველი პროგრამით.

* * *

სურათზე: მომენტი თურქეთის „გიუნეშისა" და თბილისის „დინამოს" მატჩიდან, რომელიც 1959 წელს შედგა თბილისში. „გიუნეშის" მეკარე გალიჩი იღებს ბურთს.

ოლიმპიური კომიტეტის 58-ე სესია

საბერძნეთის დედაქალაქ ათენში 19 ივნისს დაიწყება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (მოკის) მორიგი, 58-ე სესია, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკისა და ავსტრალიის ყველა დიდი სახელმწიფო. სესიის დელეგატთა შორის 5 პრინცია, 2 გრაფი და 3 ბარონი. ათენში ხუმრობით ამბობენ, რომ ოლიმპიური კომიტეტის სესია თავისი შინაარსით უფრო არისტოკრატულია, ვიდრე დემოკრატიული.

სესიის დღის წესრიგშია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის—ოლიმპიური თამაშების პროგრამის გაზრდა-შემცირება, სამოყვარულო სპორტის ახალი სტატუტის დადგენა და სხვა. სესიას წინ უძღვის დაძაბული საკულისო მოლაპარაკებები. იქმნება დასავლეთის ქვეყნების არაოფიციალური ბლოკი, რომელიც ცდილობს ხმათა უმრავლესობის მიღებას.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 58-ე სესიაში მონაწილეობს საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ნ. რომანოვი.



თბილისი

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში შედგა ამხანაგური მატჩი კალათბურთში პოლონეთისა და საქართველოს კალათბურთელთა შორის.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ პოლონეთის ნაკრები და თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა გუნდები. მატჩი დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 60:52.

მეორე მატჩი გამართა პოლონეთის ახალგაზრდულ ნაკრებსა და თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟთა გუნდს შორის. ეს შეხვედრაც ჩვენი კალათბურთელების გამარჯვებით (71:69) დამთავრდა.

სოფია

გუშინ სოფიაში დაიწყო საზოგადოება „დინამოს" კალათბურთელთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. მონაწილეობენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების კოლექტივები.

საბჭოთა კალათბურთის სახელს იცავს თბილისის „დინამო". მან პირველ მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის გუნდი „რუდა გვეზდა", ანგარიშით 89:47.

„ოქროს ბიჭები"

ორი დღის წინ მივიღეთ სასიამოვნო, მაგრამ არც თუ მოულოდნელი ცნობა — ესპადრონით მოფარიკავეთა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა ნ. ასათიანმა.

დღეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტის გულშემატკივრებს შეუძლიათ იამაყონ მეორე სასიკეთოლო მოფარიკავითაც. გუშინ ჩვენი გაზეთის საკუთარი კორესპონდენტი (ლენინგრადელი) ტელეფონით დაგვიკავშირდა და გვაცნობა მეორე სასიხარულო ამბავი:

დაშნით მოფარიკავეთა ტურნირში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტმა, საბჭოთა კავშირის თასის მფლობელმა, სპორტის ოსტატმა გ. კოსტავამ, აღსანიშნავია, რომ ორივე ჩემპიონის მწვრთნელია ტ. მესხი.

გამოცდილ სპორტსმენთა გვერდით წარმატებით გამოდიან საქართველოს ჭაბუკი მოფარიკავეებიც. რაპირისტთა პირად პირველობაზე თბილისელმა გ. კუჭაიძემ მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო ა. ბინიაშვილი მეოთხე ადგილზე გამოვიდა ესპადრონით მოფარიკავეთა შორის.

* * *

სურათზე: **გ. კოსტავა და ნ. ასათიანი გამარჯვებას ულოცავენ ერთმანეთს.**

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები

ლონდონში გაიმართა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს მორიგი სხდომა, რომელმაც დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო. კორექტივები იქნა შეტანილი მსოფლიო რეკორდების რეგისტრაციის სისტემაში. წინათ მსოფლიო რეკორდი დამყარებულად ითვლებოდა იმ შემთხვევაში თუ შეჯიბრებაში მინიმუმ სამი ქვეყნის ძალოსნები გამოდიოდნენ.

ახალი წესების თანახმად რეკორდების რეგისტრაცია იწარმოებს ყველა სახის შეჯიბრებებზე, რომელსაც მოემსახურება 3 და მეტი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

აღმასრულებელი ბიუროს გადაწყვეტილებით ამიერიდან რეგისტრირებული იქნება ჭაბუკთა მსოფლიო რეკორდებიც. ჭაბუკებად ჩაითვლებიან სპორტსმენები, რომელთა წლოვანება 20-ს არ აღემატება.

მიღებულ იქნა გადაწყვეტილება—1961 წლის სექტემბერში ვენაში მოეწყოს მსოფლიოს მორიგი პირველობა ძალოსნობაში.



გათამაშების ცხრილი

II ჯგუფი

მდგომარეობა 18 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	11	7	2	2	23:10	16
ცსკა	11	7	2	2	28:16	16
„სპარტაკი" მ.	10	5	3	2	19:9	13
„პატაკორი" ტ.	10	5	3	2	20:19	13
„დინამო" მ.	12	4	4	4	18:18	12
„სპარტაკი" ერ.	11	3	5	3	17:18	11
„ზენიტი" ლ.	11	3	4	4	15:20	10
„კაირატი" ა-ტა	11	3	4	4	13:19	10
„მოლდოვა" კიშ.	11	3	3	5	21:20	9
„ბელარუსი" მნ.	11	2	2	7	11:19	6
„კალევი" ტალ.	11	0	4	7	9:26	4

* * *

მოსკოვი. 17 ივნისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ჯგუფში, ერთმანეთს შეხვდნენ „დინამო" (მოსკოვი) — „კაირატი" (ალმა-ატა).

მატჩი დამთავრდა ფრედ 1:1.

ზუგდიდი

პირველთანრიგოსანი მოჭიდავე ა. ქუხილავა სოფ. ჩხორიაში მუშაობს აგროტექნიკოსად. აქ იგი აქტიურად მონაწილეობს კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივშიც და სპორტული მუშაობის გაშლაში ერთ-ერთი მოთავეა. ა. ქუხილავა თავისუფალ დროს ზუგდიდში ახალგაზრდების მოჭიდავეთა 3 სექციას ხელმძღვანელობს, სადაც მეცადინეობს 54 სპორტსმენი. სექციებში მომზადდა 1 პირველთანრიგოსანი, 7 მეორეთანრიგოსანი და 13 მესამეთანრიგოსანი.

სურათზე თქვენ ხედავთ მეცადინეობის მომენტს: მწვრთნელი ა. ქუხილავა და ახალგაზრდა მზარდი მოჭიდავეები შ. ჯინჯოლავა და ბ. დვალიშვილი ვარჯიშის დროს.

* * *

ამ დღეებში ზუგდიდის სტადიონზე შედგა მატჩი ფეხბურთში, რომელმაც მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ზუგდიდში ამჟამად გასტროლებზე იმყოფება ქუთაისის დრამატული თეატრი. ქუთაისისა და ზუგდიდის თეატრების ფეხბურთელებმა გადაწყვიტეს შეხვედროდნენ ერთმანეთს ზუგდიდის სტადიონ-იპოდრომზე. ბურთი თამაშში შეიყვანა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა იპოლიტე ხვიჩიამ. ქუთაისელთა შორის თამაშობდნენ რესპუბლიკის დაშსახურებული არტისტი შ. ხაჟალია, თეატრის რეჟისორი თ. მესხი და სხვანი, მაგრამ საპატიო წოდებამ მათ ვერ უშველა და ზუგდიდელმა მსახიობებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:1.

* * *

ზუგდიდის სტადიონ-იპოდრომი საქართველოს რაიონებს შორის ერთ-ერთი კარგი სპორტული ბაზაა, მაგრამ მის დროულად შეკეთებას რატომღაც საშველი არ დაადგა. მარტში დაწყებული სარემონტო სამუშაოები ჯერაც არ დამთავრებულა. ტრიბუნების სკამები ავარიულ მდგომარეობაშია და მის შესაკეთებლად ჯერ ხელი არავის გაუნძრევია. ამ გარემოებას ახსნიან იმით, რომ არავინ [illegible] ინიციატივას, შეიძლება გამოიყენოს სასოფლო-სამეურნეო [illegible] ზუ მყოფი ბაზის შეკეთებისათვის.

* * *

შარშან ზუგდიდის რაიონის [illegible] ლმძღვანელობამ კინოთეატრის [illegible] ნობა გადასცა ზუგდიდელ სპორ[illegible]ის მოყვარულებს. შენობის რეკონ[illegible]სტრუქცია დასასრულს უახლოვდ[illegible]ბა და 1 აგვისტოს სპორტული [illegible]ზა ექსპლოატაციაში შევა. მას [illegible]ნება ტანვარჯიშული, ჭიდაობ[illegible] და კრივის დარბაზები, გასახდ[illegible] ოთახები და შხაპები. ახალ ბა[illegible]ში იმუშავებენ ბავშვთა სასპორ[illegible] და ახალგაზრდობის სპორტულ[illegible] სკოლები, იმეცადინებენ აგრეთ[illegible] „განთიადისა“ და „კოლმეურნ[illegible]“ სპორტული სექციები. მომავლისათ[illegible]ვის განზრახულია ახალ ბაზას დ[illegible]მატოს კალათბურთისა და ფრ[illegible]ბურთის კომბინირებული დარბაზ[illegible]. ქალაქის პარკში სპორტკუშინ[illegible] აშენებს საცურაო აუზს, რომელ[illegible] მომავალ წელს უნდა შევიდეს ექ[illegible]სპლოატაციაში. ზუგდიდელი სპორ[illegible]ტის მოყვარულები კარგ საჩუქ[illegible] მიიღებენ.

ზოგი რამ საჯარიმო სროლების შესახებ

კალათბურთში შეჯიბრების ბედი ხშირად დამოკიდებულია საჯარიმო სროლის უნაკლო შესრულებაზე. ერთის შეხედვით, საჯარიმო სროლის სიზუსტის გამომუშავება თითქოს არ უნდა წარმოადგენდეს დიდ სიძნელეს, ვინაიდან ბურთის ტყორცნა წარმოებს განსაზღვრული ადგილიდან, მოწინააღმდეგის მხრივ ყოველგვარი ხელისშეშლის გარეშე. მაგრამ როგორც ფაქტები ცხადყოფენ, ხშირია შემთხვევები, როცა მაღალი ოსტატობით აღჭურვილი კალათბურთელებიც კი ვერ იყენებენ საჯარიმო სროლებს.

საჯარიმო სროლის სიზუსტის გამომუშავება რთული პროცესია და მისი დაუფლებისათვის არსებობს ერთადერთი გზა: სისტემატური ვარჯიში, საჯარიმო სროლების რაც შეიძლება მეტი შესრულება და ყოველივე ამით სიზუსტის მიღწევა. მაგრამ დავუკვირდეთ აღნიშნულ მდგომარეობას: რამდენად მისაწვდომია კალათბურთელთათვის წვრთნის მხოლოდ ასეთი მეთოდი და რამდენად შედეგიანია იგი.

ჯერ ერთი, სპორტსმენთა უმრავლესობას არ გააჩნია საშუალება აღნიშნული ჩვევის გამომუშავებას ყოველდღიურად დაუთმოს დიდი დრო (დღეში 500-600 სროლისათვის საკმარი) — მითუმეტეს, რომ წვრთნის პროცესში განსაზღვრულ დროს მოითხოვს ტაქტიკური და ტექნიკური ხასიათის ვარჯიშების შესწავლა. შემდეგ: სისტემატური, ყოველდღიური წვრთნის შედეგად მიღებული ჩვევა, როგორც ჩანს მაინც არაა საკმარისი და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეჯიბრების დროს სპორტსმენები ხშირად ზუსტად ვერ ტყორცნიან კალათში ბურთს.

რით აიხსნება აღნიშნული ფაქტი? ჩვენის აზრით, საქმე შემდეგშია. კალათბურთის კალათის დიამეტრი 45 სანტიმეტრია, ხოლო ბურთის დიამეტრი—24 სმ. მათი შეფარდება მკითხველს ნათლად რომ ჰქონდეს წარმოდგენილი, ვიძლევით ორივეს მოცულობას 10-ჯერ შემცირებულს (სურათი № 1). ასეთ კალათში ბურთი კალათის შიგნითა კიდეს დაშორებულია 10,5 სანტიმეტრით. სპორტსმენი სისტემატურად ვარჯიშობს ასეთ კალათში ბურთის ტყორცნაზე, რის შედეგადაც უმუშავდება კალათის მიმართ გარკვეული დამოკიდებულება და ბოლოს წვრთნის საშუალებით ვაღწევთ იმ მდგომარეობას, როცა სროლა დიფერენცირებულია და კალათში ბურთის ჩაგდების ჩვევა შემუშავებული. ამ დროისათვის სპორტსმენს აუცდენლად შეუძლია ბურთი მრავალჯერ მოათავსოს კალათში, მაგრამ შეჯიბრების დროს იგი ხშირად შეცდომებსაც უშვებს. ჩვენის აზრით, ამ დროს მიღწეული ტყორცნის სიზუსტე, რომელიც შემდგომ ვარჯიშით ფიქსირდება და მტკიცდება (45-სანტიმეტრიანი დიამეტრის კალათზე) არ არის საკმარისი. საქმე იმაშია, რომ შეჯიბრების დროს სპორტსმენი ნერვიულობს, განიცდის პასუხისმგებლობის გრძნობას და კარგავს სიზუსტეს. ერთი სიტყვით, სპორტსმენის სისტემატური წვრთნა 45 სმ დიამეტრიან კალათზე, რომლის დროსაც შედეგიც თითქოს სტაბილურია, შეჯიბრების პროცესში საწინააღმდეგო სურათს გვაძლევს. ბურთის ტყორცნის სიზუსტე წვრთნის დროს მეტია, ხოლო შეჯიბრების დროს ნაკლები. ისმება კითხვა: როგორ მოვიქცეთ რომ მიღებული სიზუსტის ჩვევა შეჯიბრების დროსაც შევინარჩუნოთ, თავი დავაღწიოთ ფსიქოლოგიური ფაქტორის გავლენას და გავზარდოთ სიზუსტის ხარისხი?

ჩვენის აზრით, წვრთნის პროცესში საჭიროა კალათბურთის კალათის დიამეტრის შემცირება 10 სანტიმეტრით ე. ი. 45 სანტიმეტრიდან მისი დაყვანა 35-სმ-მდე. კალათის ასეთი შეფარდება ბურთთან მოცემულია № 2 სურათზე. აღნიშნულ შემთხვევაში ბურთი კალათის შიგნითა კიდეს დაშორებულია 5,5 სანტიმეტრით. შემცირებულ კალათში ბურთის ჩაგდება უფრო ძნელია. იგი მოითხოვს მეტ სიზუსტეს. ვარჯიშის პროცესში შემცირებულ კალათს მოთამაშე ეჩვევა და უფრო მეტად განეწყობა სიზუსტის გამოსამუშავებლად. აქ დახვეწილი სიზუსტე სამიზნის სიმცირის გამო ბევრად უფრო დიფერენცირებულია, ვიდრე დიდ კალათში გამომუშავებული სიზუსტე. სწორედ ამიტომ ჩვეულებრივ კალათზე გადასვლა თამაშის დროს უკვე შესამჩნევად ეფექტური ხდება. სპორტსმენი უფრო თამამად ასრულებს ტყორცნას, იგი უფრო მეტად რწმუნდება თავის ძალებში. ყველაფერ ზემოთქმულიდან გამოდის, რომ პატარა დიამეტრიან კალათზე წვრთნის შედეგად სპორტსმენს უფრო მეტად გამოუმუშავდება სროლის სიზუსტე.

პატარა დიამეტრიან კალათზე სისტემატურად ვარჯიშის დროს სპორტსმენზე ნაკლებად იმოქმედებს ფსიქოლოგიური მომენტები. ამგვარი სიზუსტის ჩვევა სპორტსმენს დაეხმარება არა მარტო საჯარიმო ტყორცნის ზუსტად გამოყენებაში, არამედ გაუადვილებს საერთოდ ტყორცნას კალათში.

ფ. რუსიშვილი,
საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი.



სურათი I



სურათი II

გავაუმჯობესოთ, საკუთარი ხელით გავაკეთოთ სპორტული ინვენტარი!

ეიჭიზავლეთ ეს თამაში!

ჰოკეი ზაფხულში

საქართველოში ჰოკეის განვითარების ინტერესები მოითხოვენ სპორტის ამ სახეობის შემდგომ პოპულარიზაციას, მაქსიმალური მასობრიობის მიღწევას. ამის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა ე. წ. ზაფხულის ჰოკეი, რომელზეც ხელი მიუწვდება ყველა მსურველს.

ზაფხულის ჰოკეისათვის გამოსადეგია როგორც გლუვი მიწის, ისე ასფალტის მოედნები, რომლებზეც გორგოლაჭებიანი ციგურებით თამაშობენ. მოედნის ზომა შეიძლება იყოს 40×20 მ, 30×15 და ბოლოს — 20×10 მეტრიც, მოთამაშეთა რაოდენობის მიხედვით (4 ან 5 მოთამაშე: მეკარე, მცველი და 2 ან 3 თავდამსხმელი, ამასთან თვითეულ გუნდში სასურველია იყოს 10-13 კაცი, რომლებიც ერთმანეთს შეენაცვლებიან თამაშის მსვლელობაში). მოედანი საჭიროა შემოიფარგლოს 15 სმ ან უფრო მაღალი ხის ჯებირით, რომელიც შიგნითა მხრიდან სავსებით გლუვი უნდა იყოს.

მოედნის შუაში იხაზება წითელი ფერის ცენტრალური ხაზი. მის პარალელურად —პირითი ხაზი, რომელიც ჯებირიდან 2-3 მეტრით იქნება დაშორებული. პირით ხაზებზე, შუაში, იდგმება კარები, რომელთა სიგანეა 183 სმ. ხოლო სიმაღლე — 122 სმ. კარს აქვს წინა და უკანა ძელები; უკანა მაღლითა ჰორიზონტალური ძელი წინა ძელიდან 45 სმ-თაა დაშორებული, ქვედა უკანა ძელი კი პირითი ხაზიდან — 55 სმ-ით. პირითი მხარის გარდა კარი გარშემო ბადითაა შემოკრული.

ზაფხულის ჰოკეიში შაიბის ნაცვლად გამოიყენება ჰოკეის ბურთი ან ქვიშით დატენილი ჩოგბურთის ბურთი. ჩოგანი შეიძლება იყოს თვითნაკეთი, სასურველია მუხის, არყის ხის ან ფანერისა: ჯოხი კეთდება 25×30 მილიმეტრის სისქით და 115 სანტიმეტრის (13-14 წლის ბავშვთათვის) ან 125 სანტიმეტრის (15 წელი და ზევით) სიგრძით. ამ ჯოხს 120-125 გრადუსის კუთხით ეწებება ან ეჭედება „თათი“, რომლის სიგრძეა 37,5 სმ, სიგანე — 7,5 სმ, ხოლო სისქე — 1 სმ. მეკარის ჩოგანი ოდნავ განსხვავდება: შუა ნაწილიდან იგი 8,9 სმ სიგანისაა, ასეთივე სიგანისაა „თათიც“, რომელიც ჯოხს 110-გრადუსიანი კუთხით უკავშირდება.

თამაშის დროს მონაწილეებს უ[illegible] და ეცვათ სპორტული კოსტუმ[illegible] წვივებზე კი — ფეხბურთელებ[illegible] წვივსაცავები.

გამარტივებული წესები

თუ მოთამაშეთა სპორტული მო[illegible]ზადების დონე დაბალია, დასაწ[illegible]ყისში შეიძლება არ გამოვიყენოთ „თამაშგარე“ მდგომარეობის წ[illegible]სი, „თამაშგარე“ მდგომარეობა კ[illegible] განისაზღვრება ცენტრალური ხ[illegible]ზის მიხედვით: თუ მოთამაშე [illegible]ხას უბურთოდ გადაკვეთს და შ[illegible]ვა მოწინააღმდეგის ნახევარზე მ[illegible]შინ, როცა ბურთი მისგ ნახევრ[illegible]დან მოაქვთ მისივე გუნდელებს[illegible] იგი „თამაშგარე“ მდგომარეობ[illegible]შია. ამ დროს თამაში წყდება დ[illegible] განახლდება სადავო გდებით.

თამაშის დრო განისაზღვრებ[illegible] 30-45 წუთით. ეს დრო იყოფა სა[illegible]პერიოდად, რომელთა შორის უნდ[illegible] მოეწყოს 10-10-წუთიანი შესვ[illegible]ნებები. თამაშის დროში არ შ[illegible]დის ის დრო, რომელიც მოთამა[illegible]შეთა შეცვლაზე ან სხვა შეფერხ[illegible]ბისას იხარჯება (კარის აღებ[illegible] დროს, „თამაშგარე“ მდგომარეობ[illegible] დადგენის შემდეგ სადავო გდება[illegible]მდე, საჯარიმო დარტყმების შეს[illegible]რულებისას და ა. შ.).

კორპუსით უხეში თამაშისათვის [illegible]ჩოგნის ტყორცნისა და სხვა დარღ[illegible]ვევებისათვის მოთამაშეს აფრთხი[illegible]ლებენ, ხოლო თუ ეს განმეორდა, მას აძევებენ 1-2 წუთით. დასაშ[illegible]ვებია გაძევებული მოთამაშის ნა[illegible]ცვლად შემცვლელის შემოყვანა, დაუყოვნებლივ, მაგრამ მაშინ მ[illegible]წინააღმდეგეს უფლება ეძლევა დ[illegible]არტყას საჯარიმო. საჯარიმო დარ[illegible]ტყმის შესრულება იწყება ცენ[illegible]ტრალური ხაზიდან. მის შეს[illegible]სრულებელს შეუძლია თავისუფ[illegible]ლად წამოიღოს ბურთი და ნებისმიერი მანძილიდან ტყორცნოს იგ[illegible] მის წინ მხოლოდ მეკარე უნდ[illegible] იყოს.

არაერთგზისი უხეშობისას მოთა[illegible]მაშე უნდა გაძევებულ იქნას მთე[illegible]ლი თამაშით. მისი შეცვლა შეიძ[illegible]ლება გაძევებისთანავე.

მოთამაშეთა შეცვლა შეიძლება [illegible] განუსაზღვრელი რაოდენობით.

ზაფხულის ჰოკეის მსაჯობს რ[illegible]გორც ერთი, ისე ორი მსაჯ[illegible].

ვ. ზაჯაროვი,
სპორტის ოსტატ[illegible].

თასი ფიზკულტურული კოლექტივებისათვის

წელს მეხუთედ ჩატარდება ფეხბურთელთა ყველაზე დიდი და მასობრივი შეჯიბრება: სსრ კავშირის თასი ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებისათვის.

წლევანდელი გათამაშება არსებითად განსხვავდება წინა შეჯიბრებებისაგან იმით, რომ იგი წარმოადგენს სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადისათვის მზადების ერთ-ერთ მთავარ ეტაპს. ცნობილია, რომ I სპარტაკიადაზე გამოდიოდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა ნაკრები კოლექტივები, რომლებიც ოსტატთა გუნდების მოთამაშეებით იყვნენ დაკომპლექტებული. II სპარტაკიადის პროგრამაში ფეხბურთი საერთოდ არ შედიოდა, ხოლო მომავალ, III სპარტაკიადაზე მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის კოლექტივების უძლიერესი გუნდები, რომლებიც დაიკავებენ პირველ ადგილებს რესპუბლიკურ სპარტაკიადებზე. რა თქმა უნდა, ეს დიდი სტიმულია რიგითი ფეხბურთელებისათვის, საწარმოო დაწესებულებათა გუნდებისათვის, ამიტომ ისინი ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა ღონისძიებისათვის მზადება დაიწყონ ახლავე, წლევანდელი გათამაშებიდან.

ისევე როგორც წინა წლებში, თასის მფლობელ გუნდის წევრებს ენიჭებათ სპორტის ოსტატის წოდება, მაგრამ საამისოდ არ კმარა მხოლოდ ფინალში გამარჯვების მოპოვება. მოთამაშეებმა უნდა შეასრულონ აგრეთვე ოსტატის ფიზიკური და ტექნიკური მომზადების ნორმატივები (საერთოდ, ეს ნორმატივები სავალდებულოა შეჯიბრების ფინალურ ფაზაში შემავალი ყველა 32 გუნდისათვის).

წინა გათამაშებისაგან განსხვავებით, წლევანდელ გათამაშებაში დაჯილდოვდებიან არა მარტო ფინალისტები, არამედ პრიზებს მიიღებს ნახევარფინალური მატჩების ყველა მონაწილე, ამასთან ჩატარდება მატჩი III-IV ადგილების გამოსავლენად. გარდამავალი პრიზები დაწესებულია მოსკოვის ფურნალ-გაზეთების რედაქციათა მიერ.

თასის გათამაშების პირველი ეტაპია შეჯიბრებები ადგილებზე — ქალაქებსა და რაიონებში. გამარჯვებულები შემდეგ იბრძოლებენ ოლქებისა და ავტონომიური რესპუბლიკების თასების მოსაპოვებლად, რის შემდეგ ჩატარდება მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკათა თასის გათამაშებები.

საკავშირო თასის ფინალური ეტაპი 32 გუნდის მონაწილეობით დაიწყება სექტემბერში, ხოლო გადამწყვეტი მატჩები — ოქტომბრის დასასრულს.

ფინალისა და III-IV ადგილებისათვის მატჩის ადგილს განსაზღვრავს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი.

საქართველოს თასის მფლობელს პირველი მატჩი უქნება თავის მინდორზე თურქმენეთის გუნდთან. გამარჯვების შემთხვევაში ქართველი ფეხბურთელები კვლავ თავიანთ მინდორზე ითამაშებენ ხომხეთისა და რსფსრ-ს V ზონის გუნდებს შორის გამარჯვებულთან.



პროფკავშირების III საქალაქო სპარტაკიადა

კომპლექსური ღონისძიება — გადამწყვეტ ფაზაში

თბილისის პროფკავშირთა III საქალაქო სპარტაკიადა შევიდა გადამწყვეტ ფაზაში. უკვე დამთავრდა შეხვედრები მძლეოსნობაში, ცურვაში, ძალოსნობაში, შაგიდის ჩოგბურთში და პირველი ჯგუფისათვის კალათბურთსა და ფრენბურთში.

შაგიდის ჩოგბურთში ოთხი გუნდი — („ისანი“, სტალინის სახ. რაიონი, ავტო-სარემონტო ქარხანა და მაუდ-კამვოლის კომბინატი) იბრძოდა ფინალში უძლიერესის სახელისათვის. „ისნის“ შაგიდის ჩოგბურთელებმა ერთნაირი ანგარიშით —3:0 დაამარცხეს სხვა სამი ფინალისტი და გაინაღდეს ჩემპიონის სახელი. ერთი გამარჯვებით მეორე ადგილზე გამოვიდა მაუდ-კამვოლის კომბინატი. ავტო-სარემონტო ქარხნის შაგიდის ჩოგბურთელებმა გუნდის გაძლიერება სცადეს „ნასესხები“ სპორტსმენით, რისთვისაც შეჯიბრებიდან მოიხსნენ და მესამე ადგილი დარჩათ სტალინის სახელობის რაიონის წარმომადგენლებს.

ფრენბურთში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის I ჯგუფში უძლიერესები იყვნენ „განთიადის“ კოლექტივები, ვაჟთა შორის „გამარჯვების“, ქალთა შორის—„ისნის“ გუნდები, სამაგიეროდ კალათბურთში პირველობა არავის დაუთმეს სპარტაკელებმა, ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ვაჟთა და ქალთა ტურნირებში. მომდევნო ადგილებზე ქალთა შორის გამოვიდნენ „გამარჯვებისა“ და № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, ვაჟებში — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნისა და „გამარჯვების“ გუნდები.

დამაკმაყოფილებელი შედეგები იქნა ნაჩვენები ველოსიპედისტთა შეჯიბრებაში, რომელიც მცხეთის რაიონში, სოფელ ნატახტარის მიდამოებში გაიმართა. პირველი დღე დაეთმო დაყოფილ სტარტს.

პირველი ჯგუფის ვაჟთა რბოლა მოიგეს „ისნის“ ველოსიპედისტებმა ო. მაკაროვმა და ს. გრიშკევიჩმა, რომლებმაც შესაბამისად 1:17.04 და 1:18.40 წ მოანდომეს 50 კმ გავლას. მესამე ადგილზე გამოვიდა ა. ზახაროვი (ტრანსპორტის მთავარი სამმართველო)— 1:20.20 წ.

მეორე ჯგუფში (25 კმ) უძლიერესები იყვნენ გ. აკოფიანი („ელექტროავტომატი“)—41.40 წ, გ. პაპაშვილი (წყალსადენი)—42.45 წ და ხ. ვართანიანი (ხორცკომბინატი) — 43.15 წ.

პირველ ჯგუფში ქალებს გასავლელი ჰქონდათ 20 კმ. აქ მდგომარეობა შეიცვალა. ფინიშზე ყველაზე ადრე მივიდა ა. კარპენკო (ტრანსპორტის მთავარი სამმართველო), რომელმაც 1.20 წამით აჯობა ისნელ ლ. ბელიაევასა და უფრო მეტით — 2.15 წამით ლ. სტაშევსკაიას.

მეორე ჯგუფში გუნდი გამოიყვანა მხოლოდ „ელექტროავტომატმა“. ფინიში მოიგო მისმა წარმომადგენელმა ი. დურგლიშვილმა.

მეორე დღეს გაიმართა გუნდური რბოლა ვაჟებისათვის 75 და ქალებისათვის 25 კილომეტრზე. ვაჟებში კვლავ ისახელეს თავი ისნელებმა, რომლებმაც 5.20 წამით აჯობეს ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს გუნდს — 2:02.45. გამარჯვებული გუნდის დროა — 1:57.25 წ. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ტრანსპორტის მთავარი სამმართველოს კოლექტივი — 42.10 წ.

* * *

სურათზე: საქალაქო სპარტაკიადის ჩემპიონი „გამარჯვების“ („განთიადი“) ძალოსანთა გუნდი.

ფოტო უ. მოსესოვისა

ᲘᲡᲔᲕ ᲡᲐᲛᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ

I ჯგუფი

მდგომარეობა 18 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სიხარული“ (მახარაძე) ფიზ. ინსტ.	11	8	2	1	37:14	18
(თბილისი) „მეშახტე“	11	7	2	2	24:11	16
(ტყიბული) „განთიადი“	11	6	3	2	28:10	15
(ბათუმი) „შუქურა“	11	6	3	2	19:14	15
(ქობულეთი) სკა (თბილისი) „იმერეთი“	11	5	3	3	19:13	13
(ქუთაისი) „ბახმარო“	11	4	5	2	21:15	13
(ჩოხატაური) „მაღაროელი“	11	5	1	5	19:31	11
(ჭიათურა) „კოლხიდა“	11	4	2	5	18:18	10
(ხობი) „მექანიზატორი“	11	2	4	5	13:14	8
(ადიგენი) „კოლმეურნე“	11	3	1	7	15:25	7
(თელავი) „სალხინო“	11	1	5	5	23:36	7
(გეგეჭკორი) „დინამო“ (სოხუმი)	11	0	2	9	8:29	2

II ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გურია“ (ლანჩხუთი) „განთიადი“	11	10	0	1	30:13	20
(ცხაკაია) „მესხეთი“	11	6	2	3	19:21	14
(ახალციხე) „ფეიქარი“	11	5	3	3	26:13	13
(წულუკიძე) „ლოკომოტივი“	11	6	1	4	20:23	13
(სამტრედია) „ოდიში“	11	5	2	4	18:13	12
(ზუგდიდი) „მეზღვაური“	11	6	0	5	21:19	12
(ფოთი) „სპარტაკი“	11	4	3	4	12:9	11
(სტალინირი) „ლილა“	11	5	1	5	13:18	11
(გორი) „სპარტაკი“	11	4	2	5	15:12	10
(თბილისი) „მშენებელი“	11	3	3	5	10:12	9
(ქუთაისი) „დურუჯი“	11	3	3	5	14:19	9
(ყვარელი) „ისანი“	11	3	2	6	13:21	8
(თბილისი) „სპარტაკი“	11	2	2	7	18:26	6
(რუსთავი)	11	1	4	6	12:22	6

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის სპარტაკიადები დადგა დღის წესრიგში, ჩვენს რესპუბლიკაში მეტი ყურადღება დაეთმო სპორტის ისეთ სახეობებს, რომლებიც მანამდე მაინცდამაინც პოპულარობით არ სარგებლობდნენ.

პირველი საკავშირო სპარტაკიადისათვის მზადების პერიოდში ნიჩბოსნობას (კანოესა და საბაიდარო ნიჩბოსნობას) მეტი ყურადღება მიექცა. რესპუბლიკურ და საქალაქო სპორტღონისძიებათა კალენდარში გახშირდა შეჯიბრებები ამ სახეობებში, და როგორც ტყვიან, საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძრა. საქართველოს სპორტსმენებმა მთელი რიგი წარმატებებიც კი მოიპოვეს საკავშირო სარბიელზე. მაგრამ დღევანდელი სინამდვილე ცხადყოფს, რომ აღებული ტემპი აშკარად არ შეესაბამება გაზრდილ მოთხოვნებს, ეს ცხადჰყო გუშინ თბილისის ზღვახე დამთავრებულმა რესპუბლიკურმა პირველობამ აკადემიურ ნიჩბოსნობაში.

სპორტის ამ სახეობაში წლების განმავლობაში „ქრონიკულ ავადმყოფობად“ გადაიქცა რესპუბლიკურ ღონისძიებებში აფხაზეთისა და აჭარის სპორტსმენთა გამოუსელელობა. მარტო თბილისის, მცხეთისა და ფოთას გუნდებს კი, ცხადია, უჭირთ სათანადო „ამინდის“ შექმნა, მითუმეტეს, რომ ფოთისა და მცხეთის გუნდებიც სრული შემადგენლობით ვერ გამოდიან სტარტზე.

მთელ რიგ გაცურვებში სტარტზე გამოდიოდა ერთი ან ორი ნავი და, ცხადია, მათ ყოველგვარი ბრძოლის გარეშეც განაღდებული ჰქონდათ საპრიზო ადგილები.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის ნიჩბოსნებმა.

გუშინ, გვიან დამთავრებული შეჯიბრების დაწვრილებით ანგარიშს გამოვაქვეყნებთ შემდეგ ნომერში.

რუმინეთ-საქართველოს საქალაქო მატჩი პირველობისათვის

ა. ბუსლაევი — ტ. გიცესკუ

ინჟინერი ტ. გიცესკუ რუმინეთის ერთ-ერთ უძლიერეს ოსტატადაა აღიარებული. იგი რუმინეთის ოლიმპიური გუნდის წევრია. ა. ბუსლაევი რუმინელ ოსტატს სამჯერ შეხვდა ბუქარესტში — ერთი პარტია მოიგო და ორი ყაიმით დაამთავრა.

ქვემოთმოყვანილ პარტიაში ა. ბუსლაევმა განახორციელა პაიკის ღრმა სტრატეგიული შეწირვა.

ფველინდური დაცვა

1. d4 d16 2. c4 g6 3. ᲛC3 ᲙG7 4. e4 d6 5. f3 e5 6. ᲛGe2 0—0 7. ᲙG5 c6 8. ᲚD2 a6 9. 0—0—0 ᲚA5 10. d5 c5 11. ᲛG1 b5 12. ᲛC1 b4 13. g4 ᲒA7 14. h4 ᲔB7 15. ᲙC4 ᲙD7 16. ᲛB3 ᲚB4 17. ᲚD3 ᲙB5 18. ᲛD2 ᲚB2+ 19. ᲛG:B2 ᲙC4 20. ᲛGC2 ᲙD3+ 21 ᲛG:D3 h6 22. ᲙE3 ᲔD8 23. ᲛC4 ᲙF8 24. ᲛA5 ᲔC7 25. ᲔB1 ᲔDC8 26. ᲛC4 ᲜBD7 27. ᲔB2 ᲔB8 28. Ე:B8 Მ:B8 29. ᲔB1 ᲜFD7 30. g5 h5 31. f4 ᲛGg7 32. fe de 33. ᲙF2 ᲔC8 34. ᲙG3 ᲛGg8 35. ᲜE2 ᲙG7 36. ᲛG1 f5 37. gf ᲙF6 38. ᲜF3 ᲔC8 39. Მ:e5 Ნ:e5 40. Მ:e5 Კ:e5 41. Კ:e5 ᲛD7 42. ᲙE3 ᲔE7 43. ᲛGe3 ᲛGf7 44. ᲛGf4

შავები დანებდნენ

* * *

ჯ. მიტიტელუ — თ. გიორგაძე

არქიტექტორ ჯ. მიტიტელუს — რუმინეთის ოლიმპიური გუნდის წევრს — არაერთხელ მიუღია მონაწილეობა სტუდენტთა მსოფლიო გუნდურ პირველობებსა და საჭადრაკო ოლიმპიადებში. თ. გიორგაძე რუმინელ ოსტატს ორჯერ შეხვდა ბუქარესტში და მოუგო მატჩი 1,5:0,5-ზე.

მიტიტელუ რუმინულად პატარას ნიშნავს. ამიტომ ქვემოთმოყვანილი პარტიის შემდეგ რუმინელები ეხუმრებოდნენ თ. გიორგაძეს „პატარა“ ბიჭი რად დაგვიჩაგრეო.

პარტიაში საინტერესოა დებიუტი და ფინალური ნაწილი, რომელშიც შავებმა განახორციელეს კომბინაცია.

ლაზიერის მიღებული გამბიტი

1. d4 d5 2. c4 dc 3. e4 e5 4. ᲛF3 ed 5. ᲙC4 ᲛC6 6. 0—0 ᲙE6 7. ᲙE6 fe 8. ᲚB3 ᲚD7 9. Ლ:B7 ᲔB8 10. ᲚA6 ᲛF6 11. ᲛBD2 ᲙE7 12. a3 0—0 13. ᲚD3 ᲛG4 14. ᲛC1 ᲙD3 15. h3 Ე:F3 19. gf ᲛG4e5 17. Მ:e5 18. ᲚD1 ᲛG6 19. ᲛGh1 ᲙF4 20. Ეg1 e5 21. ᲔG4 h5 22. Ე:F4 Ლ:h3+ 23. ᲛGg1 ef 24. Ლ:D4 Ლ:F3 25 ᲙD2 ᲛH4 26. ᲚD5+ ᲛGh7 27. ᲚG5 ᲔD6 28. Ლ:F4 ᲔG6+ 29. ᲛGf1 ᲚD3+

თეთრები დანებდნენ

ᲚᲔᲚᲝ

ᲒᲣ-3 ᲒᲣ. № 83 (1719)

მოსალოდნელი ამინდი...

ცუდი ამინდი ტურისტს ისეთსავე უსიამოვნებას აყენებს, როგორც მოთხილამურეს თოვლის დნობა, მოციგურავეს — ბზარი აბანულში, ფეხბურთელს — ტალახში აზელილი მინდორი. ტურისტის ყოველგვარი სიამოვნება უეცარ კოკისპირულ წვიმას თავის ნიაღვართან ერთად მიაქვს.

ეს ყველაფერი კარგად მაქვს გათვალისწინებული და ერთდღიანი ლაშქრობის წინ, ყოველ შაბათს გულდასმით ვუსმენ ამინდის ბიუროს ცნობას მოსალოდნელი ამინდის შესახებ რადიოთი ან ტელევიზიით. ხშირად გამომდგომია ამინდის ბიუროს გაფრთხილება, ასევე ხშირად შევუყვანივარ შეცდომაში, მაგრამ რაც ამ ორი კვირის წინათ მოხდა...

რაღა გავაგრძელო, 3 ივნისს, შაბათს, ტელევიზორში გავიგონე დიქტორის ხმა: „ხვალ კვირა დღეა, ამინდის ბიურო სასიამოვნო დარს გვპირდება! ტურისტებო, თქვენ ყოველგვარი შიშის გარეშე შეგიძლიათ გაეშუროთ ჩვენი ქვეყნის წარმტაცი ბუნებით დასატკბობად“! ეს ცნობა იმდენად დამაჯერებლად იყო გადმოცემული, რომ მიუხედავად ამინდის ბიუროსადმი ერთგვარი უნდობლობისა, მეორე დილით უთენია გავუდექი გზას.

თქვენს მტერს, რაც მე მაშინ გადამხდა: „შესანიშნავი ამინდი“ კოკისპირული წვიმით დაიწყო, შუადღისას კი კაკლის სიმსხო სეტყვას ძლივს შევასწარი ტყეში.

მოვიდა მეორე შაბათი, 10 ივნისი, გულმა კვლავ სალაშქროდ გამიწია. ისევ ტელევიზორს მივაყურადე: „ხვალ, კვირას, [illegible] ბობდა დიქტორი, — მთელი დღის განმავლობაში იწვიმებს, მოსალოდნელია ელ-ჭექი“. ფეხს რა გამადგმევინებდა! კვირა დღეს სახლში ვიჯექი. არავითარი წვიმა. არავითარი ელ-ჭექი, მთელი დღის განმავლობაში [illegible] ვიზორს, ისევ დაიწყება: „ხვალ მოსალოდნელია“.. ალბათ კვლავ მოვისმენ ცნობას, მაგრამ არა, მეყო, ახლა სხვამ დაუჯეროს ამინდის ბიუროს ამ „სარწმუნო“ ცნობებს...

ჟ. ბაშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პელე გამოჯანმრთელდა

ამას წინათ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი იმის შესახებ, რომ ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ მიიღო ფეხის მძიმე ტრავმა, რის გამოც იგი კარგა ხნით ვერ მიიღებს მონაწილეობას თამაშებში. უცხოეთის ზოგიერთი გაზეთი წერდა იმასაც, რომ პელემ შეიძლება საერთოდ ველარ ითამაშოს ფეხბურთი.

მაგრამ განგაში ყალბი გამოდგა. „შავი ბრილიანტი“ სულ მალე გამოჯანმრთელდა და მონაწილეობა მიიღო ოფიციალურ მატჩებში. ეს იყო პარიზის „რესინგის“ ტრადიციული ტურნირი, სადაც ნახევარფინალში მასპინძლები შეხვდნენ პელეს გუნდს—„სანტოსს“ (სან-პაულუ).

მატჩის მსვლელობაში ბრაზილიელები რამდენიმეჯერ იყვნენ წინ დიდი განსხვავებით, მაგრამ დაცვის უყურადღებობის გამო მათ 4 ბურთი მიიღეს საკუთარ კარში და საბოლოოდ გამარჯვებას მიაღწიეს ანგარიშით 5:4.

მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი „ბენფიკა“ (პორტუგალია) და „ანდერლეხტი“ (ბელგია). პორტუგალიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

სალიდერო რბოლა.
ფოტო ე. სუსუნიკაშვილისა

საერთაშორისო მატჩები

ბრაზილიის „გრემიოს“ ფეხბურთელებმა თავიანთი მორიგი მატჩი ჩაატარეს 16 ივნისს რიგაში, ადგილობრივი „დაუგავას“ წინააღმდეგ. თამაში დამთავრდა ბრაზილიელთა გამარჯვებით, ანგარიშით 3:1.

* * *

მინსკში შედგა საერთაშორისო შეხვედრა ადგილობრივ „ბელარუსსა“ და ბულგარეთის „სლავიას“ შორის. გაიმარჯვა „სლავიამ“ — 4:1.

ფეხბურთის ქრონიკა

ამ დღეებში შედგა კიდევ ერთი შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში. ჰელსინკში ერთმანეთს შეხვდნენ ფინეთისა და ბულგარეთის ნაკრები გუნდები.

მატჩი მოიგეს ბულგარელებმა ანგარიშით 2:0.

ბელგიის ჩემპიონი

ბელგიის ჩემპიონთა თასის მფლობელი „ბენფიკა“ (პორტუგალია) და „ანდერლეხტი“ (ბელგია). პორტუგალიელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:2.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

გრძელდება მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ამ დღეებში გამოვლინდა 1/32 ფინალის კიდევ ერთი მონაწილე „ბ“ კლასის რსფსრ-ს III ზონიდან. ესაა სტალინგრადის „ტრაქტორი“, რომელმაც სიზრანის „ნეფტიანიკთან“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დაამარცხა რიაზანის „სპარტაკი“ ანგარიშით 3:1.

30 ივნისს სტალინგრადის „ტრაქტორი“ თავის მოედანზე მიიღებს თბილისის „დინამოს“.

რედაქტორი ი. უგულავა.

22-25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲧᲘᲜᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲖᲔ ᲛᲝᲛᲬᲧᲝᲑᲐ ᲤᲘᲒᲣᲠᲣᲚ ᲡᲠᲘᲐᲚᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲗᲐ ᲡᲐᲮᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ.

მონაწილეობენ: 1961 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონები ტ. ნემცოვა და ვ. მეშკოვი, ევროპის პირველობის მონაწილეები ი. ლულიაკოვა, ა. ვეგენინი, ი. გრიშკოვა და სხვები, სულ 17 კაცი. გამოსვლებში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საქართველოს ფიგურისტები ე. პლინერი, ი. ჯაფარიძე, ი. არხანგელსკაია, თ. ხანიაშვილი და სხვ.

დასაწყისი 20 ს.

23-25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲜᲐᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲓᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲠᲐᲚᲘ (შეჯიბრება მოძრაობის რეგულირებაზე).

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ავტომობილის მართვის უფლებაზე „წიგნაკის მქონე შოფრებს „მოსკვიჩი — 407“, „პობედა მ-20“ და „ვოლგა მ-21“ მარკის ავტომობილებით.

ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲓᲒᲔᲑᲐ ᲖᲔᲛᲝᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲔᲑᲘᲡ 4 ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘᲡᲒᲐᲜ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲘᲨᲕᲔᲑᲘᲐᲜ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲘᲪ.

ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲖᲔ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲜᲐᲡ ᲐᲠᲛᲘᲡ, ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲚᲝᲢᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲛᲬᲧᲝᲑᲘ ᲜᲔᲑᲐᲧᲝᲤᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲡᲐᲯᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲢᲝᲡᲙᲝᲚᲐᲨᲘ (ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲘ № 4, ᲢᲔᲚ. № 3-46-09) 1961 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲘᲕᲜᲘᲡᲐᲛᲓᲔ. ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲓᲘᲚᲘᲡ 9 ᲡᲐᲐᲗᲘᲓᲐᲜ ᲜᲐᲨᲣᲐᲓᲦᲔᲕᲘᲡ 4 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ. ᲘᲥᲕᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲕᲠᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲒᲔᲑᲐ.



ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲠᲔᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

სამი წლის წინ ინგლისში შეიქმნა სპორტის კომიტეტი დ. უოლფენდის ხელმძღვანელობით, ამ კომიტეტს უნდა შეემოწმებია ბრიტანეთის იმპერიაში სპორტის განვითარების ხარისხი. საკითხის ხანგრძლივი და ყოველმხრივი შესწავლის შემდეგ კომიტეტმა გამოაქვეყნა კრებული გამოკვლევა სათაურით „სპორტი და საზოგადოება“, გამოკვლევათა საფუძველზე კომიტეტი იძლევა 57 რჩევას და რეკომენდაციას, რომელმაც უნდა შეუწყოს ხელი სპორტის განვითარებას.

კომიტეტმა აღნიშნა, რომ არასდროს არ იდგა ინგლისური სპორტის პრესტიჟი ისე დაბლა, როგორც დღეს. ინგლისმა დაჰკარგა წამყვანი პოზიციები ფეხბურთში, მძლეოსნობაში, ნიჩბოსნობაში. არადამაკმაყოფილებლად გამოვიდნენ ინგლისელი სპორტსმენები რომის ოლიმპიურ თამაშებზეც.

უკეთებს რა ანალიზს მძლეოსნობის მდგომარეობას, კომიტეტს მოჰყავს ასეთი ფაქტი: პატარა ფინეთს დღეისათვის აქვს 730 სარბენი ბილიკი, იმ დროს, როდესაც ინგლისს, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიას ერთად აღებულს მხოლოდ —195. სწორედ ამიტომ, აღნიშნული ქვეყნების მძლეოსანთა მატჩები უკანასკნელ ხანებში ინგლისელთათვის არასახარბიელოდ მთავრდება.

იგივე სურათია კომიტეტის აზრით ფეხბურთში, ცურვაში, ნიჩბოსნობასა და სპორტის მთელ რიგ სხვა სახეობებში. ყველაფერმა ამან, აცხადებს კომიტეტის თავმჯდომარე დ. უოლფენდი, გამოიწვია მოყვარულთა სპორტის რეგრესი ინგლისში.



ინდოეთის ველიდან დაკვირვებისას დბაულაგირის მწვერვალი (8172 მ) შუადღის შემდეგ 150 მეტრით დაბალია, ვიდრე ადრე დილით, ხოლო მზის ჩასვლისას 90 მეტრით მაღალი, ვიდრე დღისით. ეს მოჩვენებათა ცვალებადობა აიხსნება შუქის გარდატეხით.

* * *

190 სმ სიმაღლის მქონე ადამიანი ყოველ ათას კაცზე 3-5 მოდის, ხოლო 2 მეტრზე მეტი სიმაღლის — 1-2.

ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ, ᲘᲧᲝ 320 ᲡᲛ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲘᲡ, ᲮᲝᲚᲝ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲭᲘᲣᲯᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲘᲬᲝᲜᲓᲐ 483 ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲡ. ᲛᲘᲡᲘ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 180 ᲡᲛ ᲘᲧᲝ.



ᲓᲦᲔᲡ!



ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

დასაწყისი 19 ს.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით. შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლენინი“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-59-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14, УЭ 05574